ხელშეკრულება №2023/02/03
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი . 1 თებერვალი 2023 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის **დავით დოიაშვილის სახით** და მეორეს მხრივ, სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი"(ს/კ 205065196), წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ნინო ნახუცრიშვილის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ რომ არ ვიმყოფებით ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში და ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

ხელშეკრულების საგანია, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

1.1. შემსყიდველის მიერ თბილისის სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრში დაგეგმილი სპექტაკლის „მუსიკის ჰანგები"-ს ჩატარების მიზნით, საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრით მომსახურება (6 სპექტაკლი) CPV-92300000.

1.2. ხელშეკრულების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10' მუხლის III პუნქტის „დ" ქვეპუნქტი- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის #99 განკარგულება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ლარში.
2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 28800 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ღირებულება მოიცავს სპექტაკლისათვის საჭირო ორკესტრის მუსიკოსების, დირიჟორის და ტექნიკური ჯგუფის მომსახურებას.

3. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

3.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
3.2. ხელშეკრულების შესრულება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
3.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტაცია, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
4.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 მარტის ჩათვლით.

6. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

6.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
6.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა დაკავშირებულია ფორს-მაჟორულ გარემოებებთან.
7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორული გარემოებები ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ, დაუძლეველ გარემოებებს. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს გაწეული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მიწოდების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.
8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც მხარეების მიერ დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.
9.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, თუ ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
ს/კ - 201948928
ტელ: 593125212. 597212212
მის: დავით აღმაშენებლის გამზირი 127

სამხატვრო ხელმძღვანელი
დავით დოიაშვილი

TBILISI VASO ABASHIDZE MUSICAL COMEDY AND DRAMA PROFESSIONAL STATE THEATRE
Digitally signed by TBILISI VASO ABASHIDZE MUSICAL COMEDY AND DRAMA PROFESSIONAL STATE THEATRE
Date: 2023.02.03 12:52:40 +04'00'

მიმწოდებელი:
სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“
ს/კ 205065196
მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 182
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ.: 7 0808 7162

გენერალური მენეჯერი
ნინო ნახუცრიშვილი

Georgia National Music Center
Digitally signed by Georgia National Music Center
Date: 2023.02.03 12:32:31 +04'00'